ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №070201/30/255

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია **2010 წლის 24 დეკემბერს**

ერთის მხრივ ***ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობასა*** (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ ***შ.პ.ს. „ნილი“-ს*** (შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის იმის გათვალისწინებით, რომ: შემსყიდველმა ჩაატარა საერთაშორისო მრავალწლიანი ტენდერი **ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე სმენადაქვეითებულ ბავშვთა ბაგა-ბაღისთვის კვების პროდუქტების მიწოდების სახელმწიფო შესყიდვაზე**, რომელშიც **ლოტი №3** – (პური), გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა **შ.პ.ს. „ნილი“-ს** სატენდერო წინადადება და – მიმწოდებლის სატენდერო წინადადების თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონლის მიწოდება შემდეგ თანხაზე: **7849,92 (შვიდი ათას რვაასორმოცდაცხრა ლარი და 92 თეთრი)** ***ლარს*** ყველა ხარჯების გათვალისწინებით (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და ითვლებიან მის განუყოფელ ნაწილად, კერძოდ:

   ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
   ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება, მისაწოდებელი საქონლის ხარჯთაღრიცხვა და სატენდერო წინადადებაზე თანდართული ყველა სხვა დოკუმენტი;
   გ) ფასების ცხრილი;
   დ) ტექნიკური დავალება;
   ე) ხელშეკრულების საერთო პირობები;
   ვ) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები;
   ზ) ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის (ხელშეკრულების ჯამური ღირებულების)2%-იანი საბანკო გარანტია.

2. ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში დაფიქსირებული ყველა მონაცემი, პარამეტრი, ვადები, ტექნიკური და სხვა პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობის ფორმები და სხვა წარმოადგენენ ხელშეკრულების პირობებს.

3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ზემოთაღნიშნული საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან **2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით**.

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებლი

რამაზ სულამანიძე ----------

შ.პ.ს. „ნილი“-ს ხელმძღვანელი

კახა გიორგაძე ----------

ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

შემსყიდველი: ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა, (ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქუჩა № 1)

მიმწოდებელი: შ.პ.ს. "ნილი" (ქ. თბილისი, ჭყონდიდელის ქ. № 87)

2. ხელშეკრულების საგანი

ქ. თბილისის დიდუბე-ჩულურეთის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე სმენადაქვეითებულ ბავშვთა ბაგა-ბაღისთვის კვების პროდუქტების მიწოდების სახელმწიფო შესყიდვა, (2011 წელი) ლოტი №4 – პური

3. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრა ლარებში ყველა გადასახადის ჩათვლით.
2.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს:

შესყიდვის ობიექტის დასახელება	დაწყება	დასრულება
ქ. თბილისის დიდუბე-ჩულურეთის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე სმენადაქვეითებულ ბავშვთა ბაგა-ბაღისთვის კვების პროდუქტების მიწოდების სახელმწიფო შესყიდვა ლოტი №4-პური	**01.01.2011 წელი**	**31.12.2011წელი**

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (4)

3.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
ა) განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე
ბ) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში განახორციელოს დოკუმენტალური კონტროლი მიმწოდებელ ორგანიზაციაში და ჩაატაროს ლაბორატორიული კვლევები სმენადაქვეითებულ ბავშვთა ბაგა-ბაღში მიწოდებულ ზგკჭუ, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტების მოთხოვნებთან

3.2 ხელშეკრულების შესრულების შუალედურ კონტროლს განახორციელებს გამგეობის სოციალურ საკითხთა განყოფილებაში შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი

3.3 ინსპექტირება განხორციელდება ყოველდღიურად (დასვენების დღეებშიშერჩევით)

4. საქონლის მიწოდების პირობები (5)

4.1 საქონლის (პური) მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ სატენდერო წინადადებაში დაფიქსირებული გრაფიკის შესაბამისად საკუთარი სატრანსპორტო საშუალებებით, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი ნებართვები საკვები პროდუქტების გადატანაზე

4.2 პროდუქციის გადატვირთვისათვის საჭირო თანმხლები დოკუმენტები
- საკვები პროდუქტების გადატვირთვაზე დასაქმებული პერსონალის სანიტარული წიგნაკები
- სატრანსპორტო საშუალებების შესაბამისობის სერთიფიკატი
- გადასატვირთი პროდუქციის ზედდებული
- ყველა გადასატვირთ პროდუქციაზე შესაბამისობის სერთიფიკატები ან პროდუქციის ხარისხიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი გაცემული სათანადო ორგანოების მიერ

5. შესყიდვის ობიექტის მიღება,ჩაბარების წესი (7)

5.1 შემსყიდველმა მიწოდებული საქონელი უნდა შეამოწმოს სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა შესაბამისად

5.2 შესყიდვის ობიექტის – რაიონის ტერიტორიაზე მდებარე სმენადაქვეითებულ ბავშვთა ბაგა-ბაღისთვის კვების პროდუქტების (პური) მიწოდების მიღება-ჩაბარება განხორციელდება, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისადმი წარდგენილი საფინანსო და პროდუქტების ხარჯვის ანგარიშების საფუძველზე, ორივე მხარის უფლებამოსილი პირების ხელმოწერით.

6. გარანტია (8)

6.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული სქონელი იქნება ხარისხიანი, შესაბამისი ორგანოების მიერ შემოწმებული და დოკუმენტალურად დამტკიცებული, ეკოლოგიურად სუფთა და შესაბამისობაში მოვა ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტების მოთხოვნებთან

6.2 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს უხარისხო და სტანდარტებთან შეუსაბამობაში მყოფი პროდუქციის შეცვლა ახალი ხარისხიანი პროდუქციით

7. ანგარიშსწორება (9)

7.1 შემსყიდველი მიმწოდებელს ურიცხავს თანხას მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით ეტაპობრივად,

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ყოველდღიური ინსპექტირების შედეგად დაზუსტებული-პროდუქტის ფაქტიური ჯამური რაოდენობის მიხედვით.

7.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში

7.4 ანაზღაურება როგორც წესი ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით

8. ფასები (10)

8.1 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომის დროს ხელშეკრულების საერთო ღირებულების ზრდა შესაძლებელია არაუმეტეს სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ფარგლებში, სხვა რისკებს იღებს მმიმწოდებელი.

9. ხელშეკრულების შესრულების გარანტია (16)

9.1 იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, აღნიშნულ ტენდერში გამოყენებულია <u>გარანტირების მექანიზმი საბანკო გარანტიის სახით.</u>

9.2 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარდგენილია საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2 %,-ის ოდენობით.

№	თარიღი	თანხა, ლარი	გარანტიის გამცემი დაწესებულება	მოქმედების ვადა	
				დაწყება	დამთავრება
51.22/6313-10	22.12.10	200	სს "პროკრედიტ ბანკი"	22.12.10	30.01.2012 წელი

9.3 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო, მ/შ:

- ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში;

-ხელშეკრულების ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული მომსახურეობის პირობების შეუსრულებლობის ან ნაწილობრივად შესრულების შემთხვევაში;

- მოქმედი აგროტექნიკური ვადების დარღვევის ან გადაცდენის შემთხვევაში;

- ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ნაწილობრივად შესრულების შემთხვევაში;

9.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

9.5 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

10 .ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (17)

10.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

10.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ყოველი გადაცდენილი დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო (შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულების) <u>0.1 %-ის ოდენობით;</u>

10.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების
3 %-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება
10.4. თუ შემსყიდველი არ ასრულებს ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 7.2. მოთხოვნებს, მას ეკისრება პირგასამტეხლო ჩასარიცხი თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულებიოს გაფორმებიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

შენიშვნა ყოველი მუხლის სათაურის შემდეგ მითითებული ციფრები აღნიშნავენ ხელშეკრულების საერთო პირობების შესაბამის მუხლებს

12 .ხელშეკრულების დამდები მხარეების რეკვიზიტები

"მიმწოდებელი"	*"შემსყიდველი"*
შ.პ.ს. "ნილი"	დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა
ქ. თბილისი, ჭყონდიდელის ქ. №87	ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქუჩის №1
ს.ს „პროკრედიტ ბანკის" ც/ფ	ს.ს "ლიბერთი ბანკის" ც/ფილიალი
ბ/კოდი MIBGGE22	ბ/კოდი 220101480, ა/ა GE95LB
ა/ა 360201011800042	0125152101627000
ს/კ 200135558	საინდ. კოდი 202171167
ტელ: 69.98.36	
69.45.38	

კ. გიორგაძე

რ. სულამანიძე

ქ.თბილისი 03 დეკემბერი 2010 წელი

ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა ქალაქ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე სმენადაქვეითებულ ბავშვთა ბაგა-ბაღისთვის კვების პროდუქტების მიწოდების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მუხლი 8-ის და სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების თავი I, მუხლი 6-ის მოთხოვნებს.

1. რამაზი სულამანიძე

2. ლევანი ტალახაძე

3. გიორგი რობაქიძე

4. აკაკი დარასელია

5. პაატა პატარაია

6. გივი პაპიაშვილი

7. მაია გოგოლაძე

8. შავლეგი ხატიაშვილი

9. ელენე ჯაბუა

10. ნანა ჯარიაშვილი

07-22/11839

29.09.2011

Ш.პ.ს. "ნილი"-ს
ხელმძღვანელს
ბატონ კახა ბიორგაძეს
მის: ქ. თბილისი, ჭყონდიდელის ქ.№87

გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მერიის გადაწყვეტილებით 2011 წლის 15 სექტემბრიდან სმენადაქვეითებულ ბავშვთა ბაგა-ბაღი თავისი შემოსავლებიდან თვითონ განახორციელებს კვების პროდუქტებით მომარაგებას. დამდგარი გარემოების გამო დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა წყვეტს 2010 წლის 24 დეკემბერს რაიონის ტერიტორიაზე მდებარე სმენადაქვეითებულ ბავშვთა ბაგა-ბაღისთვის პურის მოწოდებაზე თქვენდამი რწმუნებულ საწარმოსთან გაფორმებულ №070201/30/255 ხელშეკრულებას ღირებულებით 7849.92 ლარი. 2011 წლის 15 სექტემბრის მდგომარეობით ხელშეკრულების ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 4858.36 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე თქვენი მოთხოვნის თანახმად სატენდერო კომისია უკან დადაგიბრუნებთ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის დოკუმენტის ორიგინალს.

სატენდერო კომისიის
თავმჯდომარე
რაიონის გამგებელი

რ. სულამანიძე